



VII კლასი

1. რა მაქსიმალური წნევა შეიძლება აწარმოოს აგურმა, ჰორიზონტალურ ზედაპირზე, რომლის ზომებია $20\text{სმ} \times 10\text{სმ} \times 5\text{სმ}$, სიმკვრივე 2000 კგ/მ^3 . $g = 10 \text{ ნ/კგ}$.
2. კუბის ფორმის ჭურჭლის მოცულობა 1 მ^3 -ია, რომელიც ავსებულია წყლით. რამდენით ნაკლებია ჭურჭლის ფსკერზე წარმოებული წნევის ძალა გვერდით ზედაპირზე წნევის ძალაზე. $\rho_{\text{წყ}} = 1 \text{ გ/სმ}^3$ $g = 10 \text{ ნ/კგ}$.
3. ორმუხლიან ზიარჭურჭელში ასხია ვერცხლისწყალი. ერთ მუხლში დაამატეს 20 სმ სიმაღლის წყალი. რა სიმაღლის ნავთი უნდა დავამატოთ მეორე მუხლში, რომ წყლისა და ნავთის თავისუფალი ზედაპირები ერთ დონეზე იყოს. $\rho_{\text{წყ}} = 1 \text{ გ/სმ}^3$, $\rho_{\text{ნავთ}} = 0,8 \text{ გ/სმ}^3$, $\rho_{\text{ვერცხ}} = 13,6 \text{ გ/სმ}^3$. $g = 10 \text{ ნ/კგ}$.
4. ჰიდრავლიკური მანქანის მცირე დეგუმის ფართობი 10 სმ^2 -ია. მისი მეშვეობით მაღლა სწევენ 40 კგ მასის სხეულს, რისთვისაც მცირე დეგუმზე იმოქმედეს 10 ნ ძალით. რა სიმაღლეზე აიწევს დიდ დეგუმში, თუ მცირე დეგუმში დაიწევს 10 სმ -ით. $g = 10 \text{ ნ/კგ}$.
5. დინამომეტრის ჩვენება, როცა მასზე 4 გ/სმ^3 სიმკვრივის ერთგვაროვანი სხეულია დაკიდებული 8 ნ -ია. სხეულის სითხეში ჩაშვების შემდეგ დინამომეტრის ჩვენება 6 ნ გახდა. იპოვეთ სითხის სიმკვრივე. $g = 10 \text{ ნ/კგ}$.
6. 270 გ მასის ალუმინის ღრუ სფერო ცურავს ზეთში. იპოვეთ სიღრუის მოცულობა, თუ $\rho_{\text{თ}} = 900 \text{ კგ/მ}^3$ $\rho_{\text{ალ}} = 2700 \text{ კგ/მ}^3$ $g = 10 \text{ ნ/კგ}$.
7. ნახ.1 -ის მიხედვით იპოვეთ ჭურჭელში ჩასხმული ვერცხლისწყლის დონეთა სხვაობა, თუ დახურულ მუხლში წნევა P ტოლია, ხოლო ატმოსფერული წნევაა P_0 . $g = 10 \text{ ნ/კგ}$.
8. 10 სმ წიბოს მქონე კუბის ფორმის ერთგვაროვანი სხეული ჩაშვებულია წყალში. კუბსა და ჭერს შორის მოთავსებულია 100 ნ/მ სიხისტის, 2 სმ -ით შეკუმშული ზამბარა. (იხ. ნახ.2) რა წნევას ქმნის სხეული ჭურჭლის ფსკერზე? სხეულის სიმკვრივეა 4000 კგ/მ^3 . წყლის სიმკვრივეა 1000 კგ/მ^3 . $g = 10 \text{ ნ/კგ}$.



ნახ.1



ნახ.2